ჯერ კიდევ რომაელი იურისტები საუბრობდნენ, რომ ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხები დიდი სიზუსტით უნდა მოწესრიგდეს.¹ რომაული სამართლის განვითარება საფუძვლად უდევს ევროპული სამართლის დიდ ნაწილს. ძველი ქართული სამართალი რელიგიის გავლენას განიცდიდა და ქორწინებას განმარტავდა, როგორც ოჯახის შექმნისა და შთამომავლობის მიზნით ქალისა და მამაკაცის ურთიერთკავშირს.² თანამედროვე ქართული სამართლის მიხედვით, ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ პირებს წარმოეშობათ სამართლებრივი უფლებები და ვალდებულებები.³ არარეგისტრირებული ოჯახის შექმნა შესაძლებელია პირთა ფაქტობრივი თანაცხოვრებით, მაგრამ ტერმინი „ქორწინება“ პირებს რეგისტრაციას ავალდებულებს. აქვე ისმის კითხვა – რა მნიშვნელობა ენიჭება ქორწინების რეგისტრაციას? სახელმწიფოს მიერ დადგენილია, რომ ქორწინების სამართლებრივი ნამდვილობისათვის აუცილებელია სამოქალაქო რეგისტრაცია. ქართული სასამართლო და სანოტარო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებულად ხშირად ქორწინების რეგისტრაციის პრობლემები თავს იჩენს ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ სამემკვიდრეო საქმის წარმოების დროს. თუკი წყვილი რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფება, ისინი კანონმდებლობის საფუძველზე ერთმანეთის მემკვიდრეებად არ ითვლებიან, რაც კანონისმიერი მემკვიდრეების რიგების სრულყოფის საკითხებთან მიმართებით გარკვეულ წინააღმდეგობებს წარმოშობს.

1. კანონისმიერი მემკვიდრეების რიგების სრულყოფის საკითხები

სამოქალაქო აქტების შესახებ კანონის 48-ე მუხლის საფუძველზე, შესაბამისი ორგა-

1 მეტრეველი, ვ. რომის სამართალი (საფუძვლები). გვ. 101.
2 მეტრეველი, ვ. ქართული სამართლის ისტორია. გვ. 355.
3 შენგელია, რ., & შენგელია, ე.(2019). საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. გვ. 13.

ნოს მიერ დადგენილი წესებით ხდება ქორწინების რეგისტრაცია.⁴ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო უფლებამოსილია, დაადასტუროს ქორწინების რეგისტრაციის ფაქტი.⁵ უნდა გაიმიჯნოს, რომ უდავო წარმოების წესით სასამართლო მხოლოდ ადგენს ქორწინების რეგისტრაციის ფაქტს. იგი არ არის უფლებამოსილი, რომ რეგისტრირებულ ქორწინებას გაუთანაბროს თანაცხოვრება.⁶ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ქორწინების ფაქტი დგინდება მტკიცებულებათა ერთობლიობით.⁷ ქორწინება, სამოქალაქო კოდექსის 1107-ე მუხლის შესაბამისად, ორ პირობას შეიცავს: საქორწინო ასაკსა და დასაქორწინებელ პირთა თანხმობას.⁸ უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ქორწინების ოფიციალურ რეგისტრაციამდე მეუღლეთა შორის არ წარმოიშობა სხვადასხვა სახის უფლებები და მოვალეობები, მათ შორის, არც საერთო ქონების⁹. არარეგისტრირებული (ფაქტობრივი) ქორწინების დროს მეუღლეთა უფლებრივ მდგომარეობაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სამართლის მიხედვით, სამოქალაქო უფლების წარმოშობის საწინდარს არ წარმოადგენს ფაქტობრივი თანაცხოვრება.¹⁰ ხშირად წყვილი მხოლოდ რელიგიური ქორწინებით (ჯვრისწერით) შემოიფარგლება და ქორწინების რეგისტრაციას საჭიროდ არ თვლის.

ქართულ რეალობაში ხშირია ისეთი შემ-

4 იქვე, გვ. 79.
5 სუსგ. №ას-136-466-09 განჩინება (2009, ივლისი 28.) <<http://prg.supremecourt.ge/>> [ბოლო წვდომა: 22.09.2024].
6 შენგელია, რ., & შენგელია, ე.(2019). საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. გვ. 73.
7 სუსგ. №ას-1153-2019 განჩინება (2019, ნოემბერი 22.) <<http://prg.supremecourt.ge/>> [ბოლო წვდომა: 22.09.2024].
8 შენგელია, რ., & შენგელია, ე.(2019). საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. გვ. 58.
9 შეად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (1994, 27 ოქტომბერი). გადაწყვეტილება საქმეზე Kroon and others v. The Netherlands №18535/91. <<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168008ebe1>> [ბოლო წვდომა: 18.12.2024].
10 ნინუა, ე.,(2019). საქართველოს საოჯახო სამართლის ინსტიტუტების ზოგადი დახასიათება. მართლმსაჯულება და კანონი, 3(63), 129.

თხვევები, როდესაც წყვილი წლების განმავლობაში ერთად ცხოვრობს, ეწევა საერთო მეურნეობას, ჰყავს შვილები, მაგრამ ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში, მეორე მეუღლე მისი მემკვიდრე ვერ ხდება¹¹. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11¹ მუხლში ვკითხულობთ, რომ ამ კანონის მიზნებისთვის ოჯახის წევრად ითვლება არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირიც, თუკი ისინი ერთად ეწევიან საოჯახო მეურნეობას. ამ ჩანაწერით უფრო ბუნდოვანი ხდება ფაქტობრივი ქორწინების სამართლებრივი ბუნება, რადგანაც, სისხლის სამართლებრივი მიზნებიდან გამომდინარე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირს სხვა სამართლებრივი უფლებები აქვს,¹² ხოლო სამოქალაქო სამართლებრივად კი მას არავითარი უფლება არ გააჩნია.

ისმის კითხვა – თუკი სისხლის სამართლებრივად შეიძლება რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ქორწინების გათანაბრება, რატომ არ შეიძლება მსგავსი მიდგომა სამოქალაქო სამართალში? რადგან ეს ერთი მიზეზი (საერთო საოჯახო მეურნეობა) საკმარისი საფუძველია ფაქტობრივი და რეგისტრირებული ქორწინების სისხლის სამართლის კანონმდებლობისთვის, სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს, თუკი სამოქალაქო სამართალშიც იქნება იმის შესაძლებლობა, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებშიც რეგისტრირებული და ფაქტობრივი ქორწინებები გათანაბრდეს. პრაქტიკის საფუძველზეც უნდა დარეგულირდეს, თუ რა სახის მტკიცებულება იქნება საჭირო მსგავსი გადაწყვეტილების მისაღებად.

არსებობს რამდენიმე გადაწყვეტილება რეგისტრირებული და ფაქტობრივი ქორწინების გათანაბრების შესახებ,¹³ მაგრამ საქმე ბოლომდე ვერცერთ შემთხვევაში ვერ მივიდა. ერთ-ერთი ასეთი საქმე ეხებოდა სამკვიდროს მიღებას, სადაც მოსარჩელე ითხოვდა ქორწინების ფაქტის დადგენას, შესაბამისად,

სამკვიდროს გახსნასა და მის მიღებას. პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელის მოთხოვნა, იხელმძღვანელა და განმარტა, რომ შესაძლებელი იყო რეგისტრირებული და ფაქტობრივი ცხოვრების გათანაბრება საქართველოს სსრ უმაღლესი პრეზიდიუმის 1944 წლამდე არსებული დადგენილებით. მეორე ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოს შეეძლო 1944 წლამდე ფაქტობრივი ქორწინების დადგენა, მაგრამ ამისათვის მეორე მეუღლის მიმართვა იყო საჭირო და არა დაინტერესებული პირის.

ასევე, აღსანიშნავია სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ეხება არარეგისტრირებულ ქორწინებაში შეძენილი ქონების გაყოფას¹⁴. მიუხედავად არარეგისტრირებული ქორწინებისა, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ წყვილის ერთიერთობა გასცდა ფაქტობრივი თანაცხოვრების ფარგლებს და მათი ურთიერთობა გაუთანაბრა რეგისტრირებულ ქორწინებას, მიიღო საინტერესო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც მეუღლემ ფაქტობრივ თანაცხოვრებაში შეძენილ ქონებაზე მოიპოვა თანასაკუთრების უფლება.¹⁵ ამ განჩინების მოტივაციად გამოყენებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წელს მიღებული გადაწყვეტილება,¹⁶ რომელიც განმატავს, რომ ისეთი ურთიერთობების არსებობისას, როგორებიცაა საოჯახო და სხვა სახის, შესაძლებელია არარეგისტრირებული ოჯახი, გამონაკლის შემთხვევებში, გაუთანაბრდეს რეგისტრირებულ ქორწინებას. ასეთ დროს ოჯახის წარმოშობისათვის არ არის აუცილებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი რეგულაციები. უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა ეს მოსაზრება და განმარტა, რომ ქონებრივი უფლებების წარმოშობა დამოკიდებულია ქორწინების რე-

11 იოსელიანი, თ., (2019). არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირების მემკვიდრეობის უფლების სამართლებრივი რეგულირება. მართლმსაჯულება და კანონი, 3(63), 85.

12 სუსგ. №23-651აპ.-20 განჩინება (2021, თებერვალი 16.) <<http://prg.supremecourt.ge/>> [ბოლო წვდომა: 25.09. 2024].

13 სუსგ. №ას-681-637-2010 განჩინება (2011, იანვარი 25.) <<http://prg.supremecourt.ge/>> [ბოლო წვდომა: 25.09. 2024].

14 თბილისის სააპელაციო სასამართლო. №2ბ/2913-15 განჩინება. <<http://www.tbappeal.court.ge/?category=g>> [ბოლო წვდომა: 10.10. 2024].

15 იოსელიანი, თ., (2019). არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირების მემკვიდრეობის უფლების სამართლებრივი რეგულირება. მართლმსაჯულება და კანონი, 3(63), 87.

16 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (1994, 27 ოქტომბერი). გადაწყვეტილება საქმეზე Kroon and others v. The Netherlands №18535/91. <<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168008ebe1>> [ბოლო წვდომა: 18.12. 2024].

გისტრაციებზე, რომელსაც ერთმნიშვნელოვნად აწესებს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლი.¹⁷ წყვილთა ინტერესების დაცვის მიზნით უმჯობესი იქნება, თუკი ქართული სასამართლო გასცდება ნორმის ჩარჩოს და აირჩევს სამართლიან გადაწყვეტილებას.

ჯერ კიდევ 1994 წელს განმარტა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, რომ ქორწინების რეგისტრაცია არ უნდა იყოს გამამწყვეტი იმისათვის, რათა ფაქტობრივი ქორწინება ოჯახად ჩაითვალოს. მთავარია, წყვილთა ქორწინება აკმაყოფილებდეს ისეთ კრიტერიუმებს, როგორებიცაა: საერთო საოჯახო მეურნეობის ერთობლივად გაძღოლა, საერთო შვილების ყოლა, ერთ მისამართზე რეგისტრაცია და ცხოვრება და ა.შ. ქართული კანონმდებლობა ძალიან მკაცრად უდგება გარკვეული უფლებებისა და მოვალეობების, მათ შორის სამემკვიდრეო უფლებების, წარმოშობისათვის ქორწინების რეგისტრაციის ვალდებულებას,¹⁸ რაც მიმაჩნია, რომ უსამართლოა. არიან ქვეყნები, სადაც, მიუხედავად არარეგისტრირებული ქორწინებისა, წყვილებს მაინც ეძლევათ უფლებები, მაგალითად: ნიდერლანდების სამეფოში მოქალაქეებს ენიჭებათ არჩევანის თავისუფლება სამოქალაქო პარტნიორობასა და ქორწინებას შორის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირებისათვის რეესტრს ადგენს და აწარმოებს მუნიციპალიტეტის სპეციალური სამსახური.¹⁹ რაც შეეხება ამერიკულ მიდგომას, იგი განსხვავებულია შტატების მიხედვით – ზოგიერთ შტატში ქორწინებისათვის რელიგიური მოწმობით გაფორმება საკმარისია, თუმცა ზოგიერთი შტატი არ ცნობს ფაქტობრივ თანაცხოვრებას და ქორწინების ნამდვილობისათვის რეგისტრაციას ითხოვს. ისრაელის კანონმდებლობა ქორწინებისას რელიგიურ ხასიათს ირჩევს და მისი ძალმოსილება უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისმა იერარქმა. იტალიის მაგალითზე

შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ჰიბრიდული მოდელი, სადაც მოქმედებს როგორც რელიგიური, ასევე, სამოქალაქო ქორწინება.

საქართველოში, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, არ არსებობს ისეთი ბერკეტი, რომელიც უფლებრივად გაუთანაბრებს ფაქტობრივ (არარეგისტრირებულ ქორწინებას) რეგისტრირებულ ქორწინებას. მხოლოდ იმის მითითება, რომ წყვილი არ იმყოფებდა რეგისტრირებულ ქორწინებაში და ამის გამო ის ვერ ხდება გარდაცვლილის მემკვიდრე, უსამართლოა. ქორწინების რეგისტრაციის ფაქტი არ უნდა იყოს ოჯახური ურთიერთობების განმსაზღვრელი, ამას ადასტურებს, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებიც.

ხშირია შემთხვევები, როდესაც წყვილის ქორწინების რეგისტრაცია ხდება არა ოჯახის შექმნის მიზნით, არამედ ფიქტიურად, ერთ-ერთი ასეთი მაგალითია მოქალაქეობის მიღების მიზნით. ასეთ შემთხვევაში, თუკი რომელიმე მემკვიდრე გარდაიცვლება, მეუღლე ხდება მისი პირველი რიგის მემკვიდრე და მას წარმოეშობა სამემკვიდრეო უფლებები, რაც ვფიქრობ, ასევე, უსამართლობაა. აუცილებელია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობდეს ისეთი შესაძლებლობა, რომელიც დაარეგულირებს ასეთ შემთხვევებს სანოტარო და სასამართლო პრაქტიკაში და შესაძლებლობა ექნება პირს, რომელიც ნამდვილად იმყოფებოდა ქორწინებაში, თუმცა რეგისტრაციის გარეშე, მიაღწიოს სამართლიან შედეგს, შესაბამისად, გახდეს თავისი მეუღლის სრულუფლებიანი მემკვიდრე. განსაკუთრებულ შემთხვევებში მოსამართლეს აქვს ასეთი განმარტების შესაძლებლობა და ამით ის არ დაარღვევს სამართლის ზოგად პრინციპებს.²⁰

ანგლოამერიკული (პრეცედენტული) სამართლის ქვეყნებისთვის უფრო მარტივია მსგავსი განმარტებები, ვინაიდან ისინი განმარტებებში მეტად თავისუფლები არიან, განსხვავებით კონტინენტური ევროპის მოსამართლეებისგან. ქართულ სამართალში მინდა გამოვყო საქართველოს სააპელაციო სასამართლოს განჩინება²¹, სადაც სამართლიანად

17 სუსგ. №ას-7-7-2016 განჩინება (2016, მარტი 16.) <http://prg.supremecourt.ge/> [ბოლო წვდომა: 25.09.2024].

18 *იოსელიანი, თ.*, (2019). არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირების მემკვიდრეობის უფლების სამართლებრივი რეგულირება. მართლმსაჯულება და კანონი, 3(63), 92.

19 Sumner, I., & Warendolf, H. (2003). Family law legislation of the Netherlands. p. 245.

20 Sumner, I., & Warendolf, H. (2003). Family law legislation of the Netherlands. p.17

21 თბილისის სააპელაციო სასამართლო. (2020, ივლი-

არის განმარტებული ოჯახის მნიშვნელობა და მხოლოდ ქორწინების სამოქალაქო რეგისტრაცია არ არის უმთავრესი, რომ წყვილს ოჯახი ეწოდოს. ამგვარი განმარტების დამკვიდრება და მსგავსი მიდგომა პრაქტიკაში, ვფიქრობ, სამართლიან შედეგამდე მიიყვანს წყვილს და შესაბამისად, მათი, როგორც მეუღლეთა, სამემკვიდრეო უფლებების დაცვას. ვფიქრობ, ერთადერთი რეალური გამოსავალი არის ის, რომ დაინტერესებული პირის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის საფუძველზე სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლი არაკონსტიტუციურად აღიარონ. დაინტერესებულმა პირმა უნდა მიუთითოს რეალური მიზეზები თავისი მოთხოვნიდან გამომდინარე, თავის მხრივ კი საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია, შეისწავლოს საქმის გარემოებები და მიიღოს მყარად დასაბუთებული გადაწყვეტილება მუხლის შინაარსის შეცვლასთან დაკავშირებით. დადგინდეს, მუხლი კონსტიტუციის ფარგლებშია თუ ეწინააღმდეგება მის პრინციპებს და შინაარსიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დასკვნის საფუძველზე არარეგისტრირებული ქორწინება უნდა გათანაბრდეს რეგისტრირებულ ქორწინებასთან, ასევე უმთავრესია, პირზე გადავიდეს ყველა ის უფლება და ვალდებულება, მათ შორის სამემკვიდრეო, რომლებიც ქორწინების რეგისტრაციის შემთხვევაში წყვილს ექნებოდა, რაც, იმავდროულად, გარკვეულწილად მოაწესრიგებს კანონისმიერი მემკვიდრეების რიგების სრულყოფის საკითხებს.

როგორც აღვნიშნეთ, ხშირად მეუღლეები წლების განმავლობაში იმყოფებიან ფაქტობრივ ქორწინებაში, რეგისტრირებული არიან ერთ მისამართზე, ჰყავთ საერთო შვილები, მაგრამ ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს ქორწინების რეგისტრაციის არარსებობის გამო ეზღუდება სამკვიდროს მიღების უფლება. აღნიშნულ საკითხზე სასამართლოს მიდგომაც ხისტია და არც გამონაკლისს უშვებს, ეს კი ქართულ რეალობაში არ მუშაობს. შესაბამისად, გადაწყვეტილებებიც კანონიერია, მაგრამ ნაკლებად სამართლიანი. სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლის სიტყვა – „მხოლოდ“

რეგისტრირებული ქორწინება – ზღუდავს ალტერნატივას და, ასევე, უფლებებს, მათ შორის, მეუღლეთა სამემკვიდრეო უფლებების წარმოშობას.

საქართველოს მოქალაქე ციალა პერტიამ, 2018 წლის 12 სექტემბერს, სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს.²² მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ის თავის მეუღლესთან ერთად 1985 წლიდან გარდაცვალებამდე (2014 წლამდე) ცხოვრობდა და მეუღლის კუთვნილ ბინაში. მათი ქორწინება, მართალია, არ ყოფილა რეგისტრირებული, თუმცა ისინი ცხოვრობდნენ ერთ ოჯახად და ოჯახური ცხოვრების ყველა იმ კრიტერიუმს აკმაყოფილებდნენ, რომელთაც, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განსაზღვრავს. მიუხედავად მითითებული გარემოებებისა, მოსარჩელემ სამკვიდრო ვერ მიიღო. მეუღლის ქონება კი მიიღეს მამკვიდრების დამ და ძმამ, რომლებმაც ის გაასხვისეს, შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მეუღლის სახლიდან მოსარჩელის გამოსახლების გადაწყვეტილება მიიღო, მიუხედავად მათი 29-წლიანი თანაცხოვრებისა. აღნიშნული მიდგომა უსამართლობის განცდას იწვევს, ვინაიდან მოსარჩელეს შეეზღუდა კონსტიტუციით აღიარებული მემკვიდრეობის უფლება, რაც დისკრიმინაციულია და ეწინააღმდეგება როგორც კონსტიტუციას, ასევე, ადამიანის უფლებათა კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

ამ საკითხთან დაკავშირებით კანონმდებლობაში არანაირი გამონაკლისი არ არსებობს. მოსარჩელე უთითებს, რომ ფაქტობრივ თანაცხოვრებაში მყოფ მეუღლეს არ უნდა შეეზღუდოს მემკვიდრედ ყოფნის უფლება არარეგისტრირებული ქორწინების გამო. მნიშვნელოვანი იქნებოდა, დაინტერესებულ პირს კონსტიტუციური სარჩელი შეეტანა სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის შინაარსთან მიმართებით და მოეთხოვა, რომ მემკვიდრეთა წრის რიგებს დამატებოდა არარეგისტრი-

22 კონსტიტუციური სარჩელი 2018 წლის 12 სექტემბერის #1351: „საქართველოს მოქალაქე ციალა პერტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=15542>> [ბოლო წვდომა: 10.01. 2025].

სი 27.) №22/1156-19 განჩინება <<http://www.tbappeal.court.ge/?category=g>> [ბოლო წვდომა: 10.10. 2024].

რებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლეც. ერთ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლომ რადიკალურად განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო და საქმე არსებით განხილვამდე არც კი მივიდა. 2008 წლის 29 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო განჩინება, რომლითაც მოქალაქე ლია სურმაზას საკონსტიტუციო სარჩელი არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად²³. მოსარჩელის – ლია სურმაზას განმარტებით, იგი 1993 წლიდან ფაქტობრივ, მაგრამ არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა მეუღლესთან, რომელიც 2005 წელს გარდაიცვალა და მან ვერ მიიღო სამკვიდრო ქონება. მას მეუღლესთან რელიგიური ქორწინება (ჯვრისწერა) აკავშირებდა, მოსარჩელე ითხოვდა ჯვრისწერის მოწმობის გათანაბრებას სამოქალაქო რეგისტრაციასთან. აღნიშნული მოთხოვნა საკონსტიტუციო სასამართლომ არსებით განხილვაზე არც კი დაუშვა. უნდა აღინიშნოს, რომ დროსთან ერთად იცვლება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული მიდგომები და შეხედულებები. რეგისტრირებული და ფაქტობრივი ქორწინების გათანაბრების სამართლებრივ პრობლემასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლო სერიოზული გადაწყვეტილების წინაშე დგას. თუკი საკონსტიტუციო სასამართლო ჩათვლის, რომ ნორმა არაკონსტიტუციურია და არ შეესაბამება ადამიანის ძირითად უფლებებს, მაშინ საკანონმდებლო ორგანოს მიერ დასადგენი იქნება ახალი რეგულაციები და საკითხის სამართლიანად გადაწყვეტის წესი. ნებისმიერი ორი პირის თანაცხოვრება, რა თქმა უნდა, არ უნდა ჩაითვალოს არარეგისტრირებულ (ფაქტობრივ) ქორწინებად, არამედ ეს უნდა იყოს გამყარებული სხვადასხვა კრიტერიუმით, რომლებიც პრაქტიკამ უნდა დაარეგულიროს თითოეულ შემთხვევაში.

საერთაშორისო პრაქტიკაც მოწმობს იმ ფაქტს, რომ სახელმწიფომ არ უნდა ჩააყენოს პირები არათანაბარ პირობებში, მაგალითად, თუკი მემკვიდრეობის უფლება კონსტიტუციით გარანტირებულია, მისი მოპოვებისთვის მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება არ

უნდა იყოს განმსაზღვრელი, რადგანაც შესაძლოა, ფიქტიური ქორწინებითაც სრულიად შემთხვევით პირი გახდეს ვინმეს მემკვიდრე. თუკი საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე რეგისტრირებული და ფაქტობრივი (არარეგისტრირებული) ქორწინებები უფლებრივად გაუთანაბრდება ერთმანეთს, მაშინ ქორწინების არსებობის ფაქტი უდავო წარმოების წესით უნდა დაადგინოს აუცილებლად სასამართლომ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის დადგენა განსხვავებულია არარეგისტრირებული (ფაქტობრივი) ქორწინების ფაქტის დადგენისგან.²⁴

თუკი სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლს დაემატება ჩანაწერი, რომელიც მოსამართლეს ქორწინების ფაქტის დადგენის შესაძლებლობას მისცემს, დაინტერესებული პირის განცხადებისა და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის საფუძველზე, არარეგისტრირებულ ქორწინებას შეიძლება მიენიჭოს იურიდიული სტატუსი და გათანაბრდეს რეგისტრირებულ ქორწინებასთან. მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაში განმცხადებელზე იქნება, რომელიც შესაძლოა, განსხვავებულიც იყოს.²⁵ მტკიცებულებად შესაძლოა გამოიყენონ მოწმეთა ჩვენება, საერთო მისამართზე რეგისტრაციის ცნობა, რელიგიური ქორწინების დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ. ჯვრისწერის მოწმობა), საერთო შვილთა დაბადების მოწმობა და სხვა ნებისმიერი დოკუმენტი, რომლებიც დაეხმარება მხარეს, რათა დაადასტუროს საოჯახო კავშირი არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლესთან.

როგორც სტატიაში აღინიშნა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში განიხილებოდა სარჩელი, რომლის მოთხოვნა იყო ჯვრისწერის (რელიგიური ქორწინების) სამართლებრივი გათანაბრება სამოქალაქო ქორწინებასთან, რაზეც მოსარჩელეს ეთქვა უარი.²⁶ რაც შეეხება რელიგიური ქორწინების

23 კონსტიტუციური სარჩელი 2008 წლის 29 ოქტომბრის #2/8/448: „საქართველოს მოქალაქე ლია სურმაზა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=389>> [ბოლო წვდომა: 15.01.2025].

24 *შენგელია, რ., & შენგელია, ე.* (2019). საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. გვ.73.

25 *გაგუა, ი.* (2012). მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში. სადისერტაციო ნაშრომი. გვ. 99.

26 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 2019 წლის 28 მაისის #2/9/1351 საოქმო ჩანაწერი: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/>>

საკითხებს, 1920 წლის 3 დეკემბრის კანონით – „მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ“ – რელიგიურ ქორწინებას იურიდიული ძალა შეუწყდა და ქორწინების ნამდვილობისთვის აუცილებელია მისი რეგისტრაცია. საქართველოში სამოქალაქო და რელიგიური ქორწინებების გათანაბრებას მრავალრიცხოვანი მომხრე და მოწინააღმდეგე ჰყავს. ბევრ ევროპულ ქვეყანაში რელიგიური ქორწინება გათანაბრებულია სამოქალაქო ქორწინებასთან. მართალია, ქორწინების კანონიკური და სამოქალაქო-სამართლებრივი გაგება განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ თვითონ დოკუმენტი, ერთი მხრივ, რელიგიური ქორწინების მოწმობა და, მეორე მხრივ, სამოქალაქო ქორწინების მოწმობა, შინაარსობრივად იდენტურია, ვინაიდან ორივე დოკუმენტში არის ერთნაირი სტილის რეკვიზიტები, მოწმეების (რელიგიურად – მეჭვარეების) ხელმოწერა. თუკი რელიგიური და სამოქალაქო ქორწინებები (რეგისტრირებული ქორწინება) უფლებრივად გათანაბრდება, აუცილებელია, რომ არ დაირღვეს სეკულარიზმის პრინციპი და მხოლოდ ერთი რელიგიისთვის არ იყოს ეს პრივილეგია.

განსხვავებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მიდგომა: არიან ქვეყნები, სადაც რელიგიური ქორწინება არ არის აკრძალული, მაგრამ სამოქალაქო რეგისტრაციის დოკუმენტი წარმოშობს იურიდიულ უფლებას. გერმანიაში რელიგიური ქორწინების რიტუალები კი სრულდება, მაგრამ რელიგიური დაწესებულების მიერ გაცემული ქორწინების მოწმობა არ არის ვალიდური, ქორწინება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესებით ხორციელდება.²⁷ საბერძნეთში 1982 წლამდე ქორწინების ერთადერთი გზა მხოლოდ კანონიკური ქორწინება იყო, თუმცა მოგვიანებით ჰიბრიდული მიდგომა ამოქმედდა და როგორც სამოქალაქო, ასევე, რელიგიური ქორწინება სამართლებრივი ძალის მქონედ ითვლება.²⁸ ამერიკული სამართალი გერმანულიდან განსხვავებით

არ აწესებს სამოქალაქო ქორწინების ვალდებულებას. რელიგიური დაწესებულება გაცემს რელიგიური ქორწინების მოწმობას, რისთვისაც აუცილებელია სპეციალური ლიცენზიის აღება²⁹. რაც შეეხება ქართულ მიდგომას, იგი მეტისმეტად ხისტია. მიმაჩნია, რომ იურიდიული მნიშვნელობა უნდა შეიძინოს რელიგიურმა ქორწინებამ. ვფიქრობ, ამ საკითხისადმი ამერიკული მიდგომა სამართლიანია.

2. უცხოური პრაქტიკა და შედარებითი მიმოხილვა

რაც შეეხება საერთაშორისო პრაქტიკას, სამემკვიდრეო უფლებები არარეგისტრირებული ქორწინების შემთხვევაში განსხვავებულად რეგულირდება. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ იურისდიქციაში სამართლებრივი სისტემა აღიარებს ფაქტობრივ თანაცხოვრებას (ე.წ. “common-law marriage” ან “cohabitation”). არარეგისტრირებულ პარტნიორებს შეიძლება ჰქონდეთ გარკვეული სამემკვიდრეო უფლებები, როდესაც ისინი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ერთად ცხოვრობენ და აკმაყოფილებენ სხვა კრიტერიუმებს. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში არარეგისტრირებულ პარტნიორს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და წარუდგინოს მემკვიდრეობაზე პრეტენზიის განაცხადი. ამისთვის მან მტკიცებულებად უნდა წარადგინოს, რომ ისინი ერთად ცხოვრობდნენ, როგორც ოჯახი და იგი ფინანსურად დამოკიდებული იყო გარდაცვლილ პარტნიორზე.³⁰

ახალ ზელანდიაში არარეგისტრირებული თანაცხოვრების შემთხვევაში, პარტნიორებს წარმოეშობათ გარკვეული სამემკვიდრეო უფლებები იმ შემთხვევაში, თუკი, მინიმუმ 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ ერთად. მათი ურთიერთობა ითვლება “de facto” ურთიერთობად, რის საფუძველზეც მათ ენიჭებათ რეგისტრირებული ქორწინების მსგავსი უფლებები.

<download/4587694/0/ge/pdf> [ბოლო წვდომა: 20.01.2025]

27 რობერტი, გ. (2011). სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. მე-2 გამოცემის თარგმანი, გვ. 106.

28 პაპასტატი, კ. (2011). სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. მე-2 გამოცემის თარგმანი, გვ. 152.

29 Waldle, L.D. (2010). marriage and religious liberty: comparative law problems and conflict of law solutions. Journal of law&family studies. Vol12, P. 327.

30 დიდი ბრიტანეთი. მემკვიდრეობის (ოჯახისა და დამოკიდებულ პირთა უზრუნველყოფის) აქტი. (Inheritance (Provision for Family and Dependents) Act 1975) <<https://www.legislation.gov.uk/ukpga/1975/63>> [ბოლო წვდომა: 07.03.2025].

კონკრეტული უფლებები და პრეტენზიები დამოკიდებულია ურთიერთობის ხანგრძლივობასა და სხვა გარემოებებზე. ქონების განაწილების წესს პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში არეგულირებს 2001 წლის ურთიერთობათა ქონების აქტი.³¹ აღნიშნული საკითხის მონესრიგების მიზნით ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებები საუკეთესო მაგალითია. საქართველოს სახელმწიფო მიერთებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციას, შესაბამისად, მას ერთგვარი ვალდებულება აქვს, რომ ეროვნულ (საკანონმდებლო თუ სასამართლო) დონეზე ასახოს ყველა ახალი მიდგომა, მხოლოდ ხელმოწერა არ არის საკმარისი და აუცილებელია შემომდგეს სხვა წინაპირობებიც. ამ მხრივ საინტერესოა ჯონსტონთა საქმე ირლანდიის წინააღმდეგ (Johnston and Others v. Ireland).³² ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელები: როი და ჯენის ჯონსტონები ერთად ცხოვრობენ 15 წლის განმავლობაში, მათი ურთიერთობა ქორწინების გარეშე ჩამოყალიბდა, ჰყავთ საერთო შვილი. მათზე ვრცელდება კონვენციის მერვე მუხლი და ისინი მოიაზრებიან ტერმინ „ოჯახის“ ქვეშ, შესაბამისად, მათ უფლება აქვთ, იყვნენ დაცულნი მოცემული მუხლის მიხედვით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ბ. კრონი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ (Kroon and Others v. The Netherlands)³³, რომლის მიხედვითაც სასამართლომ განმარტა, რომ შესაძლებელია ე.წ. „დე-ფაქტო“ ოჯახური კავშირის არსებობა, როდესაც მთავარია არა მაინცდამაინც ერთად ცხოვრება, არამედ სხვა არსებითი კრიტერიუმებიც, აღნიშნული

გადაწყვეტილებით ასეთ არსებით ფაქტორად სასამართლომ განსაზღვრა საერთო შვილების ყოლა. სასამართლო გადაწყვეტილებით X, Y და Z გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (X, Y and Z v. The United Kingdom)³⁴ ცნება „ოჯახური ცხოვრება“ (family life) განმარტებულია და არ შეიძლება მხოლოდ ქორწინება იყოს საფუძველი ოჯახის შექმნისა, არსებობს სხვა ობიექტური გარემოებებიც, როგორებიცაა: ხანგრძლივი დროით განმავლობაში ერთად ცხოვრება, ერთმანეთის მიმართ წარმოშობილი ვალდებულებები, ურთიერთრჩენა, საერთო შვილების ყოლა-რაც საერთო ჯამში მიიჩნევა „ოჯახურ ცხოვრებად“. ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება მარქსი ბელგიის წინააღმდეგ (Marckx v. Begium)³⁵ განმარტავს, რომ შესაბამისი კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში ფაქტობრივი თანაცხოვრება არის საფუძველი ოჯახური თანაცხოვრებისა, რაც წარმოიშობს მემკვიდრედ ყოფნის უფლებას. საქართველოს სასამართლო კორპუსს არაერთი გადაწყვეტილება აქვს მიღებული, სადაც მოყვანილია ციტატა თუ სხვადასხვა განმარტება, სადაც იყენებენ ევროპული სასამართლოს კონკრეტულ პრეცედენტებს.³⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ ოჯახი არ არის მხოლოდ ქორწინებაზე დამყარებული და ოჯახური ცხოვრება არ უნდა განიმარტოს მხოლოდ სამოქალაქო რეგისტრაციის არსებობის მიხედვით. მაშინ გაუგებარია, რატომ არის ქართულ კანონმდებლობაში მიდგომა, რომ მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს უფლებებსა და მოვალეობებს, მათ შორის მემკვიდრედ ყოფნის უფლებას.

31 ახალი ზელანდია, (2001). ქონებრივი ურთიერთობის აქტი (Property (Relationships) Act 1976). <<https://www.legislation.govt.nz/act/public/1976/0166/latest/whole.html>> [ბოლო წვდომა: 07.03.2025].

32 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (1986, 18 დეკემბერი). გადაწყვეტილება საქმეზე Johnston and Others v Ireland №9697/82 <<https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22%3A%22001-57508%22%7D%3E>> [ბოლო წვდომა: 05.12. 2024].

33 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (1994, 27 ოქტომბერი). გადაწყვეტილება საქმეზე Kroonand others v. The Netherlands №18535/91. <<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168008ebe1>> [ბოლო წვდომა: 18.12. 2024].

34 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (1997, 22 აპრილი). გადაწყვეტილება საქმეზე X, Y and Z v. The United Kingdom №21830/93 <<https://hudoc.echr.coe.int/fre#%7B%22itemid%22%3A%22001-58032%22%7D%3E>> [ბოლო წვდომა: 11.11.2024].

35 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (1979, 13 ივნისი). გადაწყვეტილება საქმეზე Marckx v. Begium №6833/74. <<https://hudoc.echr.coe.int/fre#%7B%22itemid%22%3A%22001-57534%22%7D%3E>> [ბოლო წვდომა: 01.11.2024].

36 კორკელია, ვ. (2007). ევროპული სასამართლოს ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება. გვ. 74.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: ქართული საკანონმდებლო მიდგომის საფუძველზე მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინებით იძენს მეუღლე მემკვიდრედ ყოფნის უფლებას. არარეგისტრირებული მრავალწლიანი ფაქტობრივი ქორწინება უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას ისეთი უფლების წარმოშობისა, როგორცაა მემკვიდრეობა. ქორწინების დაურეგისტრირებლობა არ უნდა დაედოს საფუძვლად, რომ ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს უარი ეთქვას გარდაცვლილის სამკვიდროს მიღებაზე. აუცილებელია დადგინდეს და შეფასდეს მათ შორის ოჯახური კავშირი და სასამართლომ დაადგინოს ქორწინების ფაქტი. რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ქორწინებები უფლებრივად უნდა გათანაბრდეს საპროცესო კუთხით, უნდა შევიდეს ცვლილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, სადაც დაინერგება, რომ მოსამართლეს შეუძლია დაადგინოს ქორწინების ფაქტი (და არა მხოლოდ ქორწინების რეგისტრაციის ფაქტი, რაც არსებითად განსხვავდება). როგორც კი სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას და არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ წყვილს დაუდგენს ქორწინების ფაქტს, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად მხარეებს დაეკისრებათ ის უფლებები და მოვალეობები, რომლებიც ქორწინების რეგისტრაციის შემთხვევაში იარსებებდა, მათ შორის მემკვიდრეობის უფლებაც. უპრიანი იქნება, თუკი ქართული კანონმდებლობაც ამერიკულ მიდგომას გაითვალისწინებს. რეალურად, რელიგიური ქორწინების მოწმობა და სამოქალაქო ქორწინების მოწმობა ერთი და იმავე შინაარსისა და მიზნის მატარებელია, ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს ორი ერთნაირი სტილის დოკუმენტი უფლებრივად უნდა გათანაბრდეს, რაც გამოიწვევს კანონისმიერი მემკვიდრეების რიგების სრულყოფას. ამ მოსაზრებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებიც ამყარებს. მიმაჩნია, რომ ნებისმიერი საკანონმდებლო ნორმა მაქსიმალურად უნდა იყოს მორგებული პიროვნებასა და სამართლიანობაზე. ამგვარი მიდგომა იქნება უფრო სამართლიანი. თუკი ადამიანს თავისი რელიგიური თუ სხვა შეხედულების მიხედვით არ სურს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული ქორწინების რეგისტრაცია, ის არ უნდა იქნეს მოკლებული იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც მას ექნებოდა რეგისტრაციის შემთხვევაში. ადამიანის უფლებათა დაცვა მუდმივი პროცესია და მიდგომები განახლებას მოითხოვს კანონისმიერი მემკვიდრეების რიგების სრულყოფის მიზნით. რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ქორწინებების სამართლებრივი გათანაბრებით სახელმწიფო ინტერესი არ დაზიანდება. იმ ადამიანებს, რომელთაც წლობით საოჯახო ურთიერთობები აკავშირებდათ, შესაძლებლობა მიეცემათ, მოიპოვონ უფლებები, მათ შორის სამემკვიდრეო უფლებები.

ბიბლიოგრაფია:

1. გაგუა, ი., (2012). მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში. სადისერტაციო ნაშრომი.
2. იოსელიანი, თ.,(2019). არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირების მემკვიდრეობის უფლების სამართლებრივი რეგულირება. მართლმსაჯულება და კანონი, 3(63).
3. კორკელია, კ.(2007). ევროპული სასამართლოს ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება.
4. მეტრეველი, ვ. რომის სამართალი (საფუძვლები).
5. მეტრეველი, ვ. ქართული სამართლის ისტორია.
6. ნინუა, ე.,(2019). საქართველოს საოჯახო სამართლის ინსტიტუტების ზოგადი დახასიათება. მართლმსაჯულება და კანონი, 3(63).
7. პაპასტატისი, კ. (2011). სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. მე-2 გამოცემის თარგმანი.

- რობერსი, გ. (2011). სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. მე-2 გამოცემის თარგმანი.
- შენგელია, რ., & შენგელია, ე. (2019). საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი.

სასამართლო პრაქტიკა:

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (1979, 13 ივნისი). გადაწყვეტილება საქმეზე Marckx v. Begium №6833/74 <<https://hudoc.echr.coe.int/fre#%22itemid%22:%22001-57534%22>> [ბოლო წვდომა: 01.11.2024].
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (1986, 18 დეკემბერი). გადაწყვეტილება საქმეზე Johnston and Others v Ireland №9697/82 <<https://hudoc.echr.coe.int/eng#%22itemid%22:%22001-57508%22>> [ბოლო წვდომა: 05.12. 2024].
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (1994, 27 ოქტომბერი). გადაწყვეტილება საქმეზე Kroon and others v. The Netherlands №18535/91 <<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168008ebe1>> [ბოლო წვდომა: 18.12. 2024].
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (1997, 22 აპრილი). გადაწყვეტილება საქმეზე X, Y and Z v. The United Kingdom №21830/93 <<https://hudoc.echr.coe.int/fre#%22itemid%22:%22001-58032%22>> [ბოლო წვდომა: 11.11.2024].
- თბილისის სააპელაციო სასამართლო. (2020, ივლისი 27.) №2ბ/1156-19 განჩინება <<http://www.tbappeal.court.ge/?category=g>> [ბოლო წვდომა: 10.10. 2024].
- თბილისის სააპელაციო სასამართლო. №2ბ/2913-15 განჩინება <<http://www.tbappeal.court.ge/?category=g>> [ბოლო წვდომა: 10.10. 2024].
- კონსტიტუციური სარჩელი 2008 წლის 29 ოქტომბრის #2/8/448: „საქართველოს მოქალაქე ღია სურმავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=389>> [ბოლო წვდომა: 15.01.2025].
- კონსტიტუციური სარჩელი 2018 წლის 12 სექტემბრის #1351: „საქართველოს მოქალაქე ციალა პერტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=15542>> [ბოლო წვდომა: 10.01. 2025].
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 2019 წლის 28 მაისის #2/9/1351 საოქმო ჩანაწერი: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/4587694/0/ge/pdf>> [ბოლო წვდომა: 20.01.2025].
- სუსგ. №2კ-651აპ.-20 განჩინება (2021, თებერვალი 16.) <<http://prg.supremecourt.ge/>> [ბოლო წვდომა: 25.09. 2024].
- სუსგ. №ას-1153-2019 განჩინება (2019, ნოემბერი 22.) <<http://prg.supremecourt.ge/>> [ბოლო წვდომა: 22.09. 2024].
- სუსგ. №ას-136-466-09 განჩინება (2009, ივლისი 28.) <<http://prg.supremecourt.ge/>> [ბოლო წვდომა: 22.09. 2024].
- სუსგ. №ას-681-637-2010 განჩინება (2011, იანვარი 25.) <<http://prg.supremecourt.ge/>> [ბოლო წვდომა: 25.09. 2024].
- სუსგ. №ას-7-7-2016 განჩინება (2016, მარტი 16.) <<http://prg.supremecourt.ge/>> [ბოლო წვდომა: 25.09. 2024].

ნორმატიული აქტები:

- დიდი ბრიტანეთი. მემკვიდრეობის (ოჯახისა და დამოკიდებულ პირთა უზრუნველყოფის) აქტი. (Inheritance (Provision for Family and Dependants) Act 1975) <<https://www.legislation.gov.uk/ukpga/1975/63>> [ბოლო წვდომა: 07.03.2025]
- ახალი ზელანდია, (2001). ქონებრივი ურთიერთობის აქტი (Property (Relationships) Act 1976) <<https://www.legislation.govt.nz/act/public/1976/0166/latest/whole.html>> [ბოლო წვდომა: 07.03.2025]